№ 182
ხუთშაბათი, 25 აგვისტო 1894

1877—1894

# ივერია

№ 182
ხუთშაბათი, 25 აგვისტო 1894

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

**გაზეთის დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

**დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 27 აგვისტ.**

## საკომერციო კურსები

### ქალებისა და ვაჟებისათვის

წელი მეცამეტე

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1894—95 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია მარტივი, ორ-კეცი და საბანკო, 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით. 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდამ. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყეს 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩაზედ, ხოჯთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიმართოს კურსების დამაარსებელს ბ. მანუელიანცს, ტფილისს.

(24—1297—15)

**ინგლის-ამერიკელი საზაფხულო ცირკი**

გუბერტ კუკისა

ქ. ტფილისში პირველად გამართავს წარმოდგენებს მცირე ხნობით მადერის ბაღში, კირკის ქუჩაზედ, საზაფხულო კრუჟოკის პირდაპირ.

წარმოდგენები დაიწყება კვირას, 28 აგვისტოს, და სულ 25 წარმოდგენა იქმნება გამართული.

დაწვრილებით თავის დროზედ იქმნება გამოცხადებული

უფროსი ადმინისტრატორი ცირკისა
გოლდემარ სალამონსკი

**ს ა ს ტ უ მ რ ო**

**«ბ ა ნ დ ე ვ ი ლ ი»**

მთაწმიდის გორაზედ.

ვამზადებ ქართულსა და ევროპიულს სადილს და ვახშამს. მაქვს აგრეთვე სხვა-და-სხვა გვარი საუზმის სანოვაგე და სასმელები. ყოველივე სუფთად და წმინდად არის გაკეთებული.

(4—1645—4)

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთ უმორჩილესად ვაუწყებ, რომ სენაკის სათავად-აზნაურო სასწავლებელში თხოვნების მიღება 25 ს აგვისტოს დაიწყება, მისაღები ეგზამენები კი 27-ს. პირველს განყოფილებაში 35 ვაკანსიაა თავისუფალი და 7—8 წლის მოსწავლე უეგზამენოდ მიიღება. მეორეში, მესამესა და მეოთხეში 6—8—10 შემთხვევითი ვაკანსია იქმნება. სწავლა 3-ს სექტემბერს დაიწყება.

ინსპექტორი სკოლისა ს. ყიფიანი

(6—6—4)

**წერილები და კორესპონდენციები** უნდა იგზავნებოდეს მხოლოდ რედაქციის სახელზედ.

### ტფილისი, 24 აგვისტო

როგორც წინად, ისეც დღეს ეგრედ წოდებული „სამთა კავშირი“ გერმანიისა, ავსტრი-ვენგრიისა და იტალიისა დედა-ბოძია საურთიერთო პოლიტიკისა. აშლა და გარიგება ევროპის აწეწილ საქმეებისა დღესაც როგორც წინად იმაზეა დამოკიდებული თუ,—რა შინაგან სიმაგრეს და სიმტკიცეს წარმოადგენს ეგ „სამთა კავშირი“ დღეს, ან მახლობელ საგაისოდ.

თუ ყური დავუგდეთ ამ საგნის შესახებ მომხდარ ამბებს და გაზეთების მითქმა-მოთქმას, ამ დედა-ბოძს ეხლანდელის საპოლიტიკო მდგომარეობისას, ცოტაც თუ ბევრად ძირი უღრღნია და ლამის გადაიქცეს. ეს-კი აშკარად სჩანს დიდიხანია, რომ მაგ დედა-ბოძს ჭია გასჩენია და გულ-ღვიძლს უღრღნის. ესეა, თუ ისე, საქმე დღეს ისეთს ყოფაშია, რომ თვით მოკავშირეებს გული როგორღაც უტოკთ და ერთმანეთს ყურ-აცქვეტილები თვალს ადევნებენ. თვითვეულს სამთაგანს ჰგონია, თუ ჰშიშობს,—ორნი სხვანი მღალატობენ და, არიქა, ხელიდამ ისე არ გამისხლტნენ, რომ მე მარტო არ დავრჩეო.

ჯერ, როგორც მოგეხსენებათ, იტალია როგორღაც გაუგორდ-გამოუგორდა საფრანგეთს, ევებ გული მოვუგოვო. თუ ესეაო, ახლა ავსტრიამ დაუდო რაღაც თანხები იმავე საფრანგეთს და იქამდე მოუტკბილდა, რომ ერთს დროს ავსტრიის იმპერატორმაც-კი მოიწადინა სწვევოდა სტუმრად საფრანგეთსა. ამ ბოლოს დროს ხომ გერმანიამაც, ყოველ ამის მნახავმა, იფიქრა,—ეს ჩემი გულითადი მეგობრები რაღასაც ცუღლუტობენ და ეშმაკობენ და ამანაც გაუთამამ-გამოუთამამა საფრანგეთს, თუ ასეა, ისა სჯობია, მე დავასწროო.

რომ გერმანიას ძალიან უნდა საფრანგეთის გულის მოგება, ეს ყველასათვის ცხადია და ყველამ დიდიხანია იცის. თავ-მოყვარეობა, პოლიტიკა, თუ აბრეს გატეხის ფიქრი ნებას არ აძლევს გერმანიას, რომ ამ გზაზე გულახდილად ფეხი გადგას, საფრანგეთი როგორმე მოიმადლიეროს და მით ეს აუარებელი სამხარი ხარჯი, რომელიც აგრე ემძიმება გერმანიის ერს, შეიმსუბუქოს. გერმანია საფრანგეთისავით მდიდარი არ არის, რომ ეს ამოდენა ჯარების თოფ-იარაღ ქვეშ დგომამ კარგად და შეუმჩნევლად ჩაუაროს. როცა იქნება საცა წვრილია, იქ გაუწყდება ძაფი მოთმინებისა ხარჯით ძალზე დატვირთულს ერს გერმანიისას და მაშინ იქნება შინაურმა აწეწილობამ ხელ-ფეხი საგარეო მოქმედებისათვის სრულად შეუკრას და აღარ მოაცალოს გერმანიის მთავრობა საგარეო საქმეთათვის. ამ რიგად შესაძლოა გერმანია უომრადაც დამარცხდეს, თუ დღევანდელი შეთოფ-იარაღებული მდგომარეობა მისი კიდევ დიდხანს გასწევს.

მდიდარმა საფრანგეთმა ეს კარგად იცის და იმიტომ ჯერ ხანად ყურსაც არ იბერტყამს, როცა კანტი-კუნტად აქედ-იქიდან მოისმის ხოლმე ხმა, მოდი ჯარები შევიცოტავოთ და ტყუილ-უბრალოდ ნუ ვეთელინებით ამ შეარაღებულ მშვიდობიანობასაო.

უფრო დიდ გაჭირებაში არიან ორნი სხვა ამხანაგნი გერმანიისა—ავსტრია და იტალია. ამათ ლამის სული ამოხდეს იმ დიდ ხარჯის გამო, რომელსაც მათგან «სამთა კავშირობა» ითხოვს. იტალია ხომ დღეს ისეთს მდგომარეობაშია, რომ ლამის გაკოტრდეს, ისე ყელთამდეა ვალში ჩაფლული, რომ არცკი იცის როგორ ამოვიდეს. ამისთანა მდგომარეობის ძალ-მომრეობით „სამთა კავშირის“ წინააღმდეგნი დღე და დღე მრავლდებიან იტალიაში, რადგანაც ამ შეუძლებლობის და უღონობის მიზეზად სთვლიან „სამთა კავშირს“. არ არის უმისოდ, რომ პარლამენტში, თუ გარედ ჟურნალ-გაზეთობაში უფრო არ ხშირდებოდეს ხმა სამთა კავშირის სამდურავისა, მაგ კავშირმა შემოგვაწყრომა საფრანგეთიო და ამ დღეში ჩაგვაგდოო.

ვინ იცის? ამ გაჭირებას და სამთა კავშირის ასე თუ ისე ტოკვას სადამდე მიეყვანა საქმე, რომ დღეს ევროპას სხვა შინაური ტკივილები არ ასჩენოდა და თითოეული სახელმწიფო, რომელთ ხელშიაც არის ბედ-იღბალი მთელის ქვეყნის პოლიტიკისა, ამ ტკივილს არ გაეჩერებინა შინაურს ყოფა-ცხოვრებაზე. ეს ტკივილი ანარხისტების გაძლიერებაა ამ ბოლოს ხანებში და ყველგან, თითქმის ყო-

## ფელეტონი

### ნაწყვეტი

კერ დაგივიწყებ კერას დროს,
თუნდ შავ საფლავში ვწვებოდე,
ვერ დაგივიწყებ მაშინაც,
გინდ ქვეყნის მეფე ვხდებოდე,
ვერ დაგივიწყებ, თუნდ გულში
ლახვარი დამცე ვკვდებოდე,
ვერ დაგივიწყებ, თუნდაც რომ
ეშმაკთა ცეცხლში ვდნებოდე!..

დ. მაჩხანელი

### პასუხი ღირსეულს რედაქციას

როგორც მოხვალ სვინაო,
ისე წახვალ შინაო.

ქართ. ანდაზა

ჩვენისთანა ბედნიერი ერი ძნელად მოიპოვება დედამიწის ზურგზედ. რაც უნდა მშრალსა და განყენებულს საგანზედ დავიწყოთ ბაასი, ერთს წამს შემდეგ ველარ მოვახერხებთ მშვიდობიანად სჯას, ღირსეულად თავ-დაკავებას. მეორე წამშივე შემოგვაკლდება საფანელი, საბუთი, აზრი და მივმართავთ ჩვენის მოპირდაპირისას კიცხვას, ქუჩის გოგო-ბიჭების იარაღს. მშვენიერი ნაყოფიც თვალ-წინა გვაქვს. ჩვენი ნასწავლი ქართველობა გადაიქცა ბუდედ განხეთქილებისა, შურისა, მტრობისა და გაუტანლობისა...

ამისი უახლესი მაგალითი თვალ-წინ გადაგვიშალა ამ დღეებში „კვალის“ რედაქციამ. მკითხველს მოეხსენება, რომ აკაკიმ ასტეხა ბაასი ჩემ წინააღმდეგ, მე მას ვუპასუხე და ამ კამათობაში მონაწილეობა მიიღო ბატონმა სილოვანმა. კამათი სწარმოობდა კანონიერად, მართებულად, თავაზიანად. მაგრამ ბაასში უცებ ჩაერია თვითონ რედაქცია „კვალისა“ და სრულიად სხვი ელფერი დასდო. მან იარაღი სრულიად დაუწუნა თავისს თანამშრომელებს: სვიმონიძის წინააღმდეგ კანონიერი კამათი არ გამოდგება: ამ იარაღის ხმარებას იგიც მიჩვეულია. უნდა მივმართოთ სხვა იარაღს—წყენას და გათახსირებასა. ამ იარაღის ხმარებაში იგი სრულიადაც არ არის გავარჯიშებული. გარდა ამისა წყენა ცუდად მოქმედობს მასზედ, მოსვენებას უკარგავს და მაშინ შესაძლებელია თვით უწმინდური საქმე მოვიგოთ და გავიმარჯვოთო. ეს მით უფრო მოსალოდნელია, რომ ღრექია მეტად სქელ-კანა სულიერია; მთელმა ქვეყანამ რომ პირშიც აფურთხოს, ღრექას არ მოიშლისო.

სთქვა ეს რედაქციამ და კიდევაც აღასრულა: იგდო ხელში ძველი სტვირის გუდა, რის ჭაპანწყვეტით ჩაჰბერა დამჭკნარი პირიდგან, მაგრამ არ გამოვიდა არც პოეზია და არც პროზა, მოისმა მხოლოდ უხამსი ჯლოყინი და ამ ჯლოყინით რედაქციამ „დაროშა“: ჭორი, სიცრუე, ინსინუაცია, გადაკვრ-გადმოკვრა, ფსევდონიმის „ვარიანელის“ გამომჟღავნება იმისთანა წამსა, რომ ეს დაბეზღებას უდრის, უკადრისი და გასათახსირებელი სიტყვები: ტლინკვა, ხტუნვა, მიდებ-მოდება, როშვა, ბუზი და სხვანი და ეს ყველაფერი იკადრა რედაქციამ იმისთანა გამოცემისამ, რომელიც საკითხავია უფროსს ყმაწვილებისათვისაც, გამოდის ცნობილის მანდილოსნის რედაქტორობით ბრომლისათვის მართებული სიტყვა-პასუხი ათჯერ უფრო სავალდებულოა, ვიდრე სხვა გამოცემათათვის. ეს კეთილ-სუნოვანი შადრევანი, რომლითაც გასვარა ფურცლები საკუთარის გამოცემისა, ღირსეულმა რედაქციამ სწორედ ღირსეულად დააბოლოვა: „ღვარძლსა იფქლად მოგვაჩვენებ, უგნურს აუმღვრევ ტვინსა“.

რაო, რაო? ღვარძლიო? მაშ კარგი, გამოვიკვლიოთ, ვცნათ და ვიხილოთ.

განა ჩემზედ როდისმე უთქვამს ვისმე, ან დაუბეჭდია, რომ სააზნაურო ბანკში დააგირავა უკვე წინედ გაყიდული მამული, ზარალი მისცა ბანკსა და შეამცირა ის მოგება, რომლითაც თავად-აზნაურთა ობლები იზრდებიანო? რომ უარესი ღვარძლიანი მოქმედება ძნელად-ღა იქმნება?

განა მე როდისმე მიმითვისებია პერიოდული გამოცემა, დაარსებული მთელის ამხანაგობისაგან და მისის მეცადინეობით გავრცელებული საზოგადოებაში, და მითქვამს ჩემზედ მინდობილ ამხანაგთათვის: თქვენ მე ზარალის გარდასახდელად მინდოდით, და რადგანაც გაზეთი, ჩემს სახელობაზედ დაარსებული, მოგების გზაზედ დასდგა, მე იგი ახლა სრულ ჩემ საკუთრებად მინდა; მიბრძანდით აქედგან თქვენი ნოტარიული ხელ-შეკრულობით, თორემ ახლავ პოლიციას მოვიხმობო?

განა მე როდისმე ცაში ამიყვანია რომელიმე ბანკის მმართველი, რომელსაც მთელი საუკეთესო ნაწილი განათლებულის ქართველობისა ჰგმობს, როგორც მავნებელს, საზოგადოების გამრყვნელს და ბანკის დამღუპველს ვინმესა, და შემდეგ ამ მმართველისაგან ჯილდოდ მიმიღია ათას ხუთასი მანეთი წელიწადში დასაბეჭდად განცხადებებისა საბავშვო ჟურნალის დამატებაში, როდესაც ამისთანა განცხადებანი ყოველგან იბეჭდებოდნენ და იბეჭდებიან მხოლოდ ყოველ-დღიურს გაზეთებში, რადგანაც მხოლოდ ამ გზით შეუძლიან საზოგადოებას დროზედ შეიტყოს მამულების გაყიდვის ამბავი?

განა მე როდისმე და სადმე მიღალატნია მთელის ქართველობისათვის, მივკედლებივარ მოწინააღმდეგე უც-

ველს გამოჩენილს სახელმწიფოში ამ ანარხისტების საქმემ შეიპყრა მთელი მზრუნველობა და ყურადღება სახელმწიფო კაცთა და ამის გამო დღეს საგარეო საქმეთათვის აღარავის არა სცალიან.

ახლა ეს ჩინეთის და იაპონიის ომმა მიიზიდა კიდევ ყურადღება ევროპისა. საფრანგეთს, რუსეთს და ინგლისს, ნამეტნავად ამ ორს უკანასკნელს სახელმწიფოს, დიდი ინტერესები აქვთ ამ შორეულ აღმოსავლეთის ქვეყნებში.

ამ სახელმწიფოებისათვის სულ ერთი არ არის როგორ გათავდება საქმე ჩინეთისა და იაპონიის შორის. თითოეული მათგანი ცდილობს წილ მიუღებლად არ დარჩეს ამ საქმეში ერთი გაიმარჯვებს, თუ მეორე.

აქ საქმე იმაშია, რომ ჩინეთს უნდა გაუბატონდეს კორეიას და იაპონიას ჯერ ამ მხრით გაძლიერება ჩინეთისა, როგორც მეზობლისა, არ უნდა და მერე თავისთვის სახეიროდ მიაჩნია, რომ კორეია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ მაინც დარჩეს, რომ, როგორც უძლური მეზობელი, თავის გავლენის ქვეშ იყოლიოს. ეხლახან, კორეის მეფემ, ამბობენ გაზეთები, კორეია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადაო.

უნდა მოგეხსენებოდეთ, რომ კორეია დღეს აქამომდე ჩინეთის პროტექტორობის ქვეშ იყო და ეხლა ეს გამოცხადება კორეის მეფისა, თუ მართალია, ჩინეთის წინააღმდეგობასა ჰნიშნავს და იაპონიის მომხრეობას. ამით იაპონიას, რასაკვირველია, აბრუც მოემატება და ღონეც, რადგანაც კორეია მისი მეშველი იქნება შინა და გარედ და მით იაპონიას გაუადვილდება ომი და ჩინეთს-კი გაუძნელდება ჯარების მოძრაობა კორეიაში.

ეხლა ევროპის სახელმწიფონი გაჩუმებულნი არიან და ელიან საქმე ომისა როგორ გათავდება. ეს იმისთანა საქმე-კია, რომ შესაძლოა ევროპის სახელმწიფონი ერთმანეთს შეახალოს და ერთი ალიაქოთი მოხდეს, თუ, შიგ ევროპაში არა, იმ შორეულ აღმოსავლეთ ქვეყნებში მაინც.

# დეპეშა

23 აგვისტო.

**ოდესა.** დიდმა მთავარმა გიორგი ალექსანდრეს ძემ დღეს ბათუმიდგან ოდესაზედ გაიარა ჩრდილოეთისკენ.

საკათედრო ტაძარში წირვისა და პარაკლისის გარდახდის შემდეგ გაიმართა ლიტანია ეკატერინეს მოედანზედ, სადაც ჩაყრილ იქმნა საძირკველი იმპერატრიცა ეკატერინე II ძეგლისათვის. ქალაქის წარმომადგენელთ გვირგვინებით მორთეს თავადის ვორონცოვის და ჰერცოგის რიშელიეს ძეგლები. ტაძრის მოედანზე გაიმართა უფასო სადილები ჯარისა და ხალხისათვის; გაიმართა აგრედვე სახალხო აუდიტორიებში საზოგადო ლექციები, დღესასწაულები ბავშებისთვის, სახალხო სეირნობა და უფასო წარმოდგენები თეატრებში. ქალაქი გაჩირაღდნებულია; ზღვის პირას და სასეირნო ადგილებში შუშხუნები დასწვეს. საბჭომ გადასწყვიტა, სახსოვრად ოდესის არსებობის 100 წლის დღესასწაულისა დააარსოს სამეურნეო, ზღვაოსნობისა, სატეხნიკო და მშვენიერ ხელოვნებათა სკოლები.

**ნიუ-იორკი.** ვისკონსინისა და მინეზოტის შტატებში ტყეებს ცეცხლი წაეკიდა, დაიღუპა 1000 კაცი, განადგურდა 21 ადგილი; ზარალი 12 მილიონ დოლლარამდეა.

**ვენა.** გუშინ აქ მოვიდა ფინანსთა მინისტრი ვიტტე.

**პარიჟი.** აქ მოვიდა დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს ძე.

**ლონდონი.** პენგ-იონგთან იაპონელებზედ გამარჯვებისთვის გენერალს იეს და 700 აფიცერს ჯილდოები ებოძათ. იაპონელთ ამ ბრძოლის დროს დაეხოცათ 5,000 კაცი. ჩინელების ზარალი მცირეა.

# ახალი ამბავი

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ტფილისის სასულიერო სემინარიაში მიღების მთხოვნელნი 60 არიან და ვაკანსია-კი მხოლოდ 16. ამისათვის ათ სამღვდელო პირს (მამებს) ტელეგრამმით უთხოვნიათ უწმიდესი სინოდისათვის ქუთაისში სემინარიის პირველ კლასთან პარალელური განყოფილების დაარსება და ტფილისის სემინარიის პირველი კლასიდან 20 ქუთაისელი მოწაფის გადაყვანა მაგ განყოფილებაში, რომ ამ გვარად 50 ახალი ვაკანსია გაიხსნას ორივე სემინარიებში.

*** კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწე გრაფი ტატიშჩევი შაბათს, ამ თვის 27, კოჯრიდგან ტფილისში ჩამოვა.

*** კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარია ამ თვის 28-ს ტფილისში გადმოვა.

*** კავკასიის მთავარ-მართებლის ბრძანებისამებრ, დიდი ალლუმი ალბულალთან ოთხშაბათს უნდა გათავდეს.

*** ტფილისის გუბერნატორმა თ. შერვაშიძემ ამ თვის 23 დაამტკიცა პურისა და ცხვრის ხორცის ახალი ნიხრი. გუშინვე ტფილისის მეპურეებმა თხოვნა მიართვეს ქალაქის მოურავს პურის ძველი ნიხრივე დასტოვეთო, რადგანაც გირვანქაზედ ½ კ. მოკლება დიდს ზარალს მოგვცემსო.

*** როგორც გვაცნობებენ, ერთი წინამძღვარიანთ-კარის სასწავლებელში სწავლა-დამთავრებული მოსწავლე, სახელდობრ იოსებ მინდოდაური, თავისის ხარჯით შესულა სწავლის განსაგრძობად სოფ. ედიმონოვის ნ. ვ. ვერეშჩაგინის რძის მეურნეობის სასწავლებელში. ამ სასწავლებელში ასწავლიან: პირველს წელიწადს საქონლის მოვლა-მოშენებას, ღორის მოვლა-მოშენებას, ერბო-კარაქის მომზადებას, ბაკშტეინისა, ტილზიტისა და ფრანგულ ყველების კეთებას. ლაბორატორიაში მოსწავლენი ჰსინჯავენ რძის სნეულებასა და სიწამხდრეს; მეორე წელიწადს — შვეიცარიის ყველის კეთებას.

*** ს. კნოლევი (ქართლი) 21 აგვისტოს ს. კნოლევში ქართულის სცენის მოყვარულთ მიერ გამართულ იქმნა სალიტერატურო საღამო. წარმოდგენილი იყო ვოდევილი „ორი მშიერი“, წაიკითხეს სხვა-და-სხვა საოხუნჯო სცენები და ლექსები. საკმარი ხალხი დაესწრო და დიდად ნასიამოვნებიც დარჩა. დიდს მადლობას ვუძღვნით დუშ. ფილავ ნდიშვილს, რომელმაც სახლი უსასყიდლოდ დაგვითმო და მრავალი სხვა დახმარებაც აღმოგვიჩინა. სრული შემოსავალი ხარჯს გარდა ექვსი თუმანი დარჩა. ეს ფული გადაეცათ იმათ, ვის სასარგებლოდაც დანიშნული იყო წარმოდგენა.

*** სოფ. ბანძა. (სენაკის მაზრა): ყანები ამას წინანდელ წვიმებმა გამოაცოცხლა, იზაბელას გვარიანად ასხია. ქურდობა, ცრუ მორწმუნეობა ჩვენში და ჩარჩოთა თავ-გასულობა უმაღლეს წერტილამდის არის ასული; სწავლა-განათლება ჯვარცმულია. გულ-შემატკივარი თუ კეთილ აზრებით გამსჭვალული იშვიათია.

*** ქუთაისი: ქუთაისში სემინარია დააარსეს. ჯერ-ჯერობით მხოლოდ ერთი კლასი იქმნება, რომელშიაც მხოლოდ ორმოცი მოსწავლე უნდა იყოს. ქუთაისის გუბერნიის სამ სასულიერო სასწავლებელში ბევრმა მოსწავლემ დაამთავრა სწავლი და მათ შორის მოწონებულია სემინარიაში შესასვლელად სამ-ოც-და-ცამეტი მოსწავლე, ადგილი კი ორმოცის მოსწავლისთვის არის. რა ჰქნას დანარჩენმა ოც დაცამეტმა მოსწავლემ? სწორეთ საბრალოა იმათი მდგომარეობა: სასულიერო შუა სასწავლებლის კარები იმათთვის დახურულია და სხვა სასწავლებელშიაც შესვლა არ შეუძლიანთ, რადგან იმათი და სხვა სასწავლებლების პროგრამმა სხვა-და-სხვანაირია. რამდენმამე მოსწავლემ დეპეშა გაგზავნეს რუსეთის სემინარიაში, მაგრამ იქიდგანაც უარი მოუვიდათ, ადგილი არ არისო.

*** ამ ჟამად რუსეთში მოგზაურობს ლორდი სკალეი, წევრი ლონდონის ბალოსნობის საზოგადოებისა, რომელიც საზოგადოებამ გამოგზავნა სამხრეთ რუსეთში იქაურ ბაღოსნობის დასათვალიერებლად. ამბობენ, ინგლისის ერთს საზოგადოებას განზრახვა აქვს რუსეთში მრავალი ხილი იყიდოს ხოლმე, გაახმოს და საზღვარ გარედ წაიღოს.

*** გაზ. „Русск. Жизнь“-ი სწერს, რომ კავკასიაში წავიდა ერთი საფრანგეთის ცნობილი სავაჭრო სახლის წარმომადგენელი ბ-ნი ოტტო ჩილზი, რომელსაც ვენახების სყიდვა დავალებული აქვს, საფრანგეთის ღვინის ვაჭრებისაგან, რომელთაც დიდი-ნია ყურადღება მიაქციეს კავკასიის ღვინოებს.

*** როგორც დეპეშით აუწყებენ „Моск. Вѣд.“-ის ანტვერპენის მსოფლიო გამოფენის რუსულ განყოფილებაზედ კავკასიის გამომფენელთ შორის, ჩვენს გაზეთში დასახელებულთა გარდა, დაუჯილდოვებიათ: უდიდესი ჯილდო მიუღიათ ძმათა ნობელებს; საპატიო მოწმობა: მურატოვს და ნაზაროვს (არმავირი, ყუბანის ოლქი); ოქროს მედალი: ბ. გორომკოს (ეკატერინოდარი), კლემენტიევს (ტფილისი) და მ. საფაროვს (ტფილისი); ვერცხლის მედალი: ბარანოვს (ნევინნომისკი); ბრინჯაოს მედალი: თაიროვს და ალიხანოვს (ტფილისი) და ჩუბინიძეს (ქუთაისი).

*** 23 ამ თვისას ტფილისის მცხოვრებელი დარჩო მარტიროზოვი სიღნაღის მცხოვრებელს ნიკოლაოზ ტერ-სტეფანოვს წაეჩხუბა და დანით დასჭრა. დაჭრილი სამკურნალოში გაჰგზავნეს საექიმოდ. დამნაშავე შეიპყრეს.

*** ამავე დღეს მუშტაიდის ბაღში მცველს ურბანსკის სადგურიდგან 35 მან. ღირებული ტანისამოსი მოჰპარეს, დამნაშავე — გუმბრის მცხოვრებელი კარაპეტ ტიგრანიანცი იქვე შეიპყრეს.

---

ხო დასსა საქართველოს რომელიმე ქალაქის მართვაში, ავსილვარ იმედით და წადილით, რომ თბილს ადგილს მივიღებო და მაინც ვერ მიმიღია, სამარცხვინოდ ხახა-მშრალი დავრჩენილვარ...

განა მე როდისმე დამიარსებინებია ჩემს სახელზედ უკუღმართი საბავშვო ქარხანა, სადაც მეორე წლიდგან გამქრალია ალგიაროც და გალიაროც და ჩემს გაზეთში გამომიცხადებია, რომ საქართველოს არცა ჰქონია და არცა აქვს ამისთანა მშვენიერი ქარხანაო?

განა მე როდისმე პრინციპიალურის, ზრდილობიანის ბაასის პასუხად გულიდგან ამომიშვია ღვარძლის შადრევანი და გამითხუპნია ჩემივე გაზეთის ფურცლები?

განა მე რომელსამე ქალაქში ღვარძლიანი ყოფა-ქცევით მეტ სახელად დამიმსახურებია მთელის საზოგადოებისაგან ანაფემას ძე? განა...

არასოდეს.

მაშ რამ წამოაყრანტალებინა რედაქციას სიტყვა: «ღვარძლიანი?» ქართულმა ანდაზამ: „ჩემი შენ გითხარ, გული მოგიკალო“. გარნა გულის მოსაკლავად მარტო ბოროტი ნაწილი და „უგუნურის ტვინის ღეღერა“ როდია საკმარისი. აქ ცოტაოდენი ხერხი და სიმართლე არის საჭირო. თორემ უძლური და უწმინდური ხელით მოქნეული ტალახი საკუთარს თავზედ ესხმის ღვარძლიანს კაცს, როგორც ეს მოუვიდა დარბაისელს რედაქციას.

«ღვარძლიო» ? მე მზადა ვარ თვითონ „კვალის“ თანამშრომელთა კრებულს მივსცე ანგარიში ყოველს ჩემს ნაბიჯში, ყოველს სტრიქონში, მას უკან, რაც თავი შემისწავლია საზოგადო ასპარეზზედ. მაგრამ ამას ვერას დროს ვერ გაბედავს რედაქცია, და თუ გაბედავს, გაშავებული გამოვა თავისივე თანამშრომლების გარდაწყვეტილობით.

ღვარძლიო? განა ჩვენ როდისმე უსირცხვილოდ გაგვიბრუნდებია რომელიმე სწორე საქციელი სხვისა, როგორც ეს განზრახ ჩაიდინა რედაქციამ შესახებ ჩვენის მონაწილეობისა განსვენებულის ნინოშვილის ბედში და მის თხუზულებათა გამოცემაში? ჩვენ ვიმეორებთ „უსირცხვილოდ“ და სრული იმედი გვაქვს, რომ იგივე კრებული, როცა საქმის გარემოებას კარგად შეიტყობს, სრულიად გაამართლებს ამ ჩვენს მკაცრს სიტყვასა და დაადგენს: სწორედ ასეთი ატესტაციის ღირსი იყო რედაქციაო.

იმავე თანამშრომელთა კრებულისათვის მიგვინდვია გადასჭრან: სამარცხვინო ჭორია, თუ არა ვითომ ჩვენ ვსწერდეთ რაღაც სომხურ-რუსულ-თათრულ კილოზედ და რედაქცია კვალ-ჯეჯილისა კი წმინდა ქართული ენითა? ვის ნაწერებს უფრო ეტანებიან და ადვილად იგებენ დასავლეთს-საქართველოში, დიდნი, თუ პატარანი, ჩვენსას, თუ ორკეცის რედაქციისას? საქართველოს გმირებს ბ-ნ გიორგი წერეთლისას, დაბეჭდილს ჯეჯილში, და ნათარგმნებს ორ-გვარა სულიერისას, თუ ჩვენს მოთხრობებს ისტორიიდგან, ბუნების მეტყველებიდგან და სხვებსა, იმავე ჟურნალში დაბეჭდილს? ვინ უფრო საღს საზრდოს აძლევს ქართულს გონებასა: ჩვენ თუ ღირსეული წყვილი, ერთად შეკეცილი? ვის მოქმედებაა ნაყოფი უგუნურის ტვინის მღერისა ჩვენი, თუ იმ, აკაკისა არ იყოს, ორთავა ნეუდაჩნიკისა, რომელიც მკმეველთა კალმის შემწეობით სცდილობს დაიმსახუროს დიდებული მთელის სახელი, როდესაც იგი ზოგან ნახევარია, ზოგან მესამედი და არც ერთს სფერაში მთელი? ბოლოს, განა ეს გაძლიერებული მადა გათხსირებისა უმთავრესად არ აიხსნება იმ მოვლენით, რომ ჩვენი გამოცემანი, საბავშო და სახალხო, ყოველს წელს ოცი ათასობით იყიდებიან და დღითი დღე მატულობს მათი გასავალი, ხოლო ორკეცის რედაქციის გამოცემანი კი ძლივს იყიდებიან ათასობით და ბაზარი თანდათან უმცირდებათ?

როგორცა სჩანს, როცა რედაქციას გაუთავებია სასროლი ღვარძლის გუნდა და სახელად უწოდებია ამ თავისი ღირსეულის შვილისათვის „გასართობი“, სიხარულით შეუქნია „ხტუნვა და ტლინკვა“ (მათივე სიტყვები). იმედი მაქვს, ჩემი სამაგიეროც შეაქცევინებს მათ ტლინკვა-ხტუნვას, მხოლოდ სიხარულით, თუ სხვა გრძნობით, ამისი კი რა მოგახსენოთ. გამოვა ორკეცი ბუქნა, რომელიც სწორედ შეეფერება ორკეც რედაქციას — ჯეჯილ-კვალისას.

მიუცილებლად ეს ჩემი სამაგიერო არა ერთხელ დაამშვენებინებს „კვალის“ ფურცლებს ბალღამიანის გულის ამონანთხევით შესაწუხებლად და სათაკილოდ საკუთარის მკითხველებისა და თანამშრომლებისა. მაგრამ განა მე ვიქმნები ამაში დამნაშავე? განა კამათი გათახსირების ნიადაგზედ მე გადავიტანე?

მკითხველმა შეიძლება მითხრას: მოითმენდიო, როდემდის? განა ეს საქციელი „კვალისა“ პირველია? გავიხსენოთ, თუ როგორ მოიქცა რედაქცია, როდესაც წარსულს ივნისს დაიბეჭდა „ივერიაში“ ჩემი წერილი: „ცოტა რამ შინაური“. წერილმა ჩაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებზედ და ყურადღება მიიპყრო. რა ჰქნა კვალმა? მართალია, იგი იძულებული გახდა წერილი აღიარებინა შესანიშნავად და ზოგიერთა ადგილებიც ამოეწერა; მაგრამ

# დამაკვირდი

სიზარმაცე სისუსტეა სხეულისა, სისუსტე სიზარმაცეა სულისა.

სომი

**

გაჭირვების შესახებ კანონი არარას ამბობს.

რუსული ანდაზა

**

ომი დადაფნული აჯილდოა დედაკაცა.

კლოპშტოკი

## კორესპონდენცია

**ქ. ფოთი** 2 აგვისტოს: მოგახსენებთ ზოგს ცოტა დაგვიანებულს, მაგრამ საინტერესოსა და გამოუქვეყნებელს ამბავს და ზოგსაც ახალს. დავიწყებ იქიდგან, რაც ასულდგმულებდა და რამაც უნდა ასულდგმულოს მომავალში ქ. ფოთი, ე. ი. ნავთ-სადგურიდგან. ფოთის ნავთ-სადგურის გადაკეთების ამბავმა მეტად გაგვახარა ფოთელები. სიამოვნებით მოველით მომავალ წელს, როდესაც უნდა შეუდგნენ იმის გაკეთებას, დაიმედებულნი, რომ ეხლა მაინც დაამთავრებენ რიგიანად 30 წლის ტანჯულ ნავთ-სადგურს. იმედი გვაქვს, ეხლა მაინც კარგი მაშენებელნი ეყოლებიან ნავთ-სადგურს, მით უმეტეს, რომ ხაზინა თვით აშენებს. ვიმედოვნებთ, რომ გადაკეთებულ ნავთ-სადგურის შესახებ ვეღარავინ გაიმეორებს ახლანდელ ნავთ-სადგურის გამო ინგლისის ერთის გემის უფროსის სიტყვებს: „მოვედით მგზავრობისაგან დამაშვრალნო და ზღვის ღელვისაგან შეძრწუნებულნო, გემნო და ხომალდნო, ჩემს ყურეში, ჰკარით ცხვირი თქვენნი ჩემს ისარის მზგავსს საშვალს მოლს და საუკუნოდ განისვენეთ სავანესა შინა ჩემსასა“. ფოთის ნავთ-სადგურისათვის მთავრობისაგან გადაიდო 4 მილიონი, რომლიდგანაც მომავალის წლიდგან ყოველ წლობით უნდა დაიხარჯოს 600,000 მან., ვიდრე დასრულებამდე.

ნავთ-სადგურის მხრით დაიმედებული ფოთელები ქალაქის მოურავის არჩევნებისათვის ფაცურობენ. ასახელებენ ორს კანდიდატს: ბ-ნთ ნ. ნიკოლაძეს და ი. მეუნარგიას, ახლანდელ ქალაქის მოურავის თანამდებობის დროებით აღმასრულებელს. ბ-ნს ნიკოლაძეს, როგორც უცნობი დაბალ ამომრჩეველ მცხოვრებთათვის, რომელთა რიცხვი დიდია, ეჭირვება დახმარება მოწინავე საზოგადოებისაგან, რომ მათ ჩააგონონ სხვებს მისი ვინაობა. ხოლო რაც შეეხება მეუნარგიას, იმას ყველანი კარგად იცნობენ და პატივისცემაცა აქვს მოპოვებული საზოგადოებაში. მისს მცირე მოწინააღმდეგე დასს ჰმეთაურობს აქაური მაგარ სასმელების მკეთებელი მენდელი, მაგრამ ამ უმისოდაც მცირე დასს ამ ბოლო დროს ბევრნი მოშორდნენ. ეხლა ძნელი გამოსაცნობია ამ ორ კანდიდატში ვის მისცემენ უპირატესობას ამორჩევის დროს. ეს კი აშკარაა, რომ ბ-ნ მეუნარგიას გარდა, ნიკოლაძეს დღეს ამ ალაგს ვერავინ შეეცილება, თუმცა, როგორც ხმა დადის, ზოგიერთ სხვებსაცა ჰსურთ კენჭი იყარონ.

ფოთში ხოლერის და სხვა ავადმყოფობის მხრით ძალიან ჯან-მრთელობაა. მხოლოდ ზღვა გამხდარა ფოთის ჭირად. წარსულის თვის ივლისის განმავლობაში ერთს საბანაო ადგილას დღემდე ხუთი კაცია დამხრჩვალი, ეროვნებით დამხრჩვალნი არიან, ორი ინგლისელი, მატროსები, ერთი ქართველი (შვილი აქაურის სამხედრო მღვდლისა, სემინარიაში ნასწავლი) და ორიც სომეხი მუშა. წინა წლებშიაც ბევრნი დამხრჩვალან ამ ალაგას, მაგრამ ბანაობა დღესაც არ არის აკრძალული. არ იქმნება ურიგო ამ ადგილას ბანაობა აღიკრძალოს და ერთი უშიშარი ადგილი დაინიშნოს საბანაოთ.

აქაური დროების გასატარებელი ადგილი კლუბი დღეს საშინელს ვალებშია ჩაფლული, თუმცა, იმდენათ შემოსავალი ჰქონდა და აქვს დღესაც, რომ ადვილად შეეძლო უვალოდ გასძლოლოდა ხარჯს. ფოთის კლუბს დღეს ორი ათას მანეთამდე ჰმართებს. ეს ფული დაედვა ვალად კლუბს 1892 წ. და ზოგიც შემდეგ. ამ ვალის დადებას აბრალებს საზოგადოება ზოგიერთს მმართველს ჰკლუბისას, რომელნიც ამ წლამდე განაგებდნენ კლუბის საქმეებს უკონტროლოდ და საზოგადო კრების დაუკითხველად. იმათი ანგარიში ხომ სულ უცნაური იყო: შემოვიდა ამდენი და ამდენი, დაიხარჯა ამდენი, ვალი დაედო კლუბს ამდენი. ნეტა ან წიგნთ-საცავი ვარგიყოს ჩვენ კლუბში და ან სცენის მოწყობილება. წიგნთ-საცავი, შეიძლება ითქვას, კლუბს არა აქვს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ თითო-ოროლა ძველ ჟურნალების ნომრებს, რომლებშიაც ნახევრად ფურცლები აკლია. წარსულ წლებში, როგორც ამ წელშიაც, კლუბს ჟურნალ-გაზეთობა ნაკლებათ მოსდის. წარსულ 1893 წელში ხომ სულ არ მოდიოდა ნახევარს წელიწადს არც ერთი ჟურნალ-გაზეთი. წელს კლუბს მოსდის ტფილისის გაზეთები: „ნოვოე ობოზრენიე“, „კავკაზი“ და «ტფილისის ლისტოკი». ქართული გაზეთი და ჟურნალი-კი არც ერთი. როგორ მოგწონთ? მერე იკითხეთ, ვინ არიან ამორჩეულნი „სტარშინებად“. ნახევარი მათი რიცხვი ქართველები არიან და ისინიც ლიტერატორები.

ფოთელებს გვაქვს სამი სასწავლებელი: სამოქალაქო ვაჟების სასწავლებელი, ქალების სასწავლებელი და სანავოსნო სასწავლებელი. ამ სამ სასწავლებელში მხოლოდ ქალების სასწავლებელში ასწავლიან ქართულ წერა-კითხვას. სამოქალაქო სასწავლებელში-კი, სადაც ქართველი მოსწავლეების რიცხვი 200 აღემატება, ქართულს არ ასწავლიან. ამ სამწუხარო მოვლენის გამო საზოგადოებაში ხშირად ისმის დრტვინვა, მაგრამ ამაოდ. ამ სასწავლო წლის დამდეგში მისი ყოვლად-უსამღვდელოესობის გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის პატივცემული გრიგოლის განკარგულებით აქ არსდება სამრევლო სასწავლებელი, სადაც უეჭველად ქართული წერა-კითხვის სწავლაც იქნება, როგორც სხვა ამგვარ სასწავლებლებში. ამ სასწავლებლის დაარსებას ფოთელები სიამოვნებით მოველით, რადგან აქ ქართულის წერა-კითხვის შესწავლის შემდეგ, ყმაწვილს სამოქალაქო სასწავლებელში თუ მისცემენ, უეჭველია, უკეთ ისწავლის. ეხლა-კი საწყალ ჩვენს შვილებს არაფერი არ აკავშირებთ სამოქალაქო სასწავლებლის მოსამზადებელ და პირველ კლასებთან. ამ კლასებში პირველადვე ყველა საგანს იმათთვის გაუგებარს ენაზედ ასწავლიან, რის გამოც 7—8 წლის ყმაწვილს გული უტყდება, ენერგია და ხალისი სწავლისა ეკარგება და დაფრთხობილ კურდღელივით იყურებ.

ფოთში ამას წინად ორი ხელის მოწერა იყო გამართული: ერთი განსვენებულის პოეტის მამის ფონდის დასაარსებლად და მეორე განსვენებულის მწერალის ინგოროყვას სახელობაზედ. არც ერთის ანგარიში არ გვინახავს გაზეთში. საჭიროდ მიმაჩნია ამისთანა შემოწირულება შემომწირველთა შეწირულების ანუ სხვით იყოს გაზეთში გამოქვეყნებული, თორემ ამისთანა მაგალითების შემდეგ ძნელი იქნება რაიმე კეთილი მიზნისათვის შეწირულების მოგროვება. იმედი გვაქვს ხელის მომწერის გამმართველნი ეხლა მაინც გვაცნობებენ გაზეთის საშუალებით იმ შეკრებილ ფულის ბედს.

მამისთვალი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზეთ „რუს. ვედ“. კორესპონდენტი სწერს, რომ ქ. იალტას ნიკიტას სასწავლებელში ამ ჟამად მრავალი ცვლილებაა შემოღებული.

ამ სასწავლებლის წეს-რიგი აქამდე არ ეთანხმებოდა ახლანდელს მოთხოვნილებას. ხოლო ეხლა მეურნეობის მინისტრის ნება-რთვით ამ სასწავლებელში მრავალი ცვლილებაა შემოღებული. აგებულია მშვენიერი სახლი სკოლის ლაბორატორიისთვის და შეძენილია მრავალი სამოსწავლო იარაღი და ნივთები, საზღვარ-გარეთიდგან მოტანილი. ამ ახალს ლაბარატორიას ამ მოკლე ხანში ავურთხებენ. სასწავლებელთან იმყოფება ბუნების მეტყველობისა და საისტორიო მუზეი, ამ სამის წლის წინად დაარსებული. ამ მუზეიმაც მრავალი ნივთება შეიძინა. დამტკიცებულ იქმნა აგრეთვე ახალი წესდება ნიკიტას სასწავლებლის შესახებ, რომელშიაც მრავალი ცვლილება უნდა მოხდეს. როგორც უწინ, ამ სასწავლებლის დანიშნულება იქმნება მოამზადოს მცოდნე მებაღენი და ღვინის მკეთებელნი. უწინდელს პროგრამას მოემატება სხვა ახალი საგნებიც. გარდა ამისა, სწავლის ვადა ექვსის წლის მაგიერად ხუთი წელიწადი იქმნება. მეხუთე წელიწადს მოსწავლენი პრაქტიკულად შეისწავლიან ყველა საგნებს.

სასწავლებელთან დაარსებულია აგრეთვე უმაღლესი კურსები გარეშე კაცთათვის, ამ კურსებში მსურველთ პრაქტიკულად ასწავლიან ღვინის კეთებას. ვადა სწავლისა ამ კურსებში ორი წელიწადია.

## რუსეთი

ფინანსთა სამინისტრო აპირებს ამ უწყების ზოგიერთ დაწესებულების მოხელეთა ყოფა-მდგომარეობა გააუმჯობესოს. სახელმწიფო პალატას ეკითხა, რომელ სტოლზედ რამდენი საქმეა ყოველ განყოფილებაში, რამდენი მოხელე მუშაობს თითოეულს სტოლზედ, რა ჯამაგირს იღებს თითო მოხელე და ადგილობრივ ცხოვრება რა ჰღირს, ე. ი. რამდენია სადგომის ქირა, შეშისა, ნავთისა და ხორაგის ფასი და სხვ.

—

მიწად მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ამ ჟამად შესაძლებლად დაუნახავს დააკმაყოფილოს ჩრდილო-დასავლეთის მხრის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებათა თხოვნა, რომ განსაკუთრებული კანონი გამოიცეს ერბოს და ყველის კეთების შესახებაო. ამ კანონით სასტიკად უნდა იქმნენ დასჯილნი ისინი, რომელნიც რძესა და ერბოში სხვა-და-სხვა რამეს ურევენ და ყალბად აზავებენ, რაც დიდად მავნებელია ხალხის ჯან-მრთელობისათვის.

—

სექტემბრიდგან დაიწყებს მუშაობას ის კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს გზათა უწყების წესდება. კომისიას განზრახვა აქვს საგზაო გარდასახადი გაანაწილოს თანასწორად მაზრებსა და ქალაქებს შორის.

## უცხოეთი

**ინგლისი.** ლორდთა პალატის წინააღმდეგ უკმაყოფილება თანდათან ძლიერდება. ლონდონში დაარსდა მთელი ფედერაცია ლორდთა პალატის წინააღმდეგ. ლონდონის გაიდპარკში ამ დღეებში გაიმართა მიტინგი. მიტინგს 100,000 კაცი და-

---

ამასთან იმისთანა კუდი გამოაბა, რომელსაც პირდაპირ მიზნად ჰქონდა ავტორის დამცირება საზოგადოების თვალში. ავტორი რასაც ქადაგებს, რატომ თვითონ არ ასრულებსო. რად ჩაიკეტა ოთახი, როდესაც აქ მაღალ-ხარისხოვანი პირნი მოვიდნენ და ჩვენი გარემოება პირად არ აუხსნაო? ყველაზედ უკეთესად „კვალმა“ იცოდა და იცის, რომ ეს საყვედური ყოვლად-უსამართლოა. რაც-კი ოც და ათის წლის განმავლობაში დაგვიწერია ქართულად, თუ რუსულად, ყველა არის გამოსარჩლება ჩვენის დათრგუნულის კანონიერის უფლებისა, ქადაგება იმისი აღდგენისა, გაძლიერებისა. აკადემიური მიმართულების რამე, განყენებული ტემები, საარქეოლოგიო გამოკვლევანი ჩვენ არას დროს არ გვიწერია. ჩვენ უფრო მწვავე და სახიფათო საგნები გვირჩევია. ჩვენის კალმის ყველა ნაწარმოებს ცოცხალის ინტერესების დაცვა და განტკიცება ჰქონია მიზნად, დიდი საერო ვარმების დაკმაყოფილება. როცა რომელიმე გავლენიანი გვამის ნახვა ყოფილა საჭირო და სასარგებლო საზოგადო საქმისათვის, არას დროს უკან არ დაგვიხევნია. მაგალითად, წარსულს გაზაფხულს ორი მაღალ-ხარისხოვანი პირი მობრძანდა პეტერბურგიდგან ერთი ფრიად რთულის და მძიმე საქმის გამოსაძიებლად. ჩვენ ორივე ვინახულეთ არა ერთხელ, არამედ ორჯელ, გვქონდა ძლიერი ხანგრძლივი ბაასი და ყოველი ღონის ძიება ვიხმარეთ, რომ აგვეცილებინა ქართველის საზოგადოების თავიდგან ძლიერი მძიმე და ყოვლად უსაფუძვლო ბრალდება. ერთს მათგანს თვითონ ჩვენ მივეცით ადრესი კვალის ქუდოსანისა, როდესაც განაცხადა სურვილი ვიზიტის გადახდისა, და მაშინვე გავეშურეთ „კვალის“ რედაქციაში, რათა შეგვეტყობინებინა ეს ამბავი და მომზადებული ყვნენ.

როცა თბილელნი, გაოცებულნი კვალის უსირცხო ბრალდებით, ჰკიცხავდნენ რედაქციის ქუდოსანს: რა სინიდისმა მოგცათ ნება მაგისთანა სიცრუე დაგეწერათო, იგი პასუხად მხოლოდ იღრიჭებოდა. მაშინ მოვითმინეთ, კრინტიც არ დაგვიძრავს. მაგრამ რა გამოვიდა? გათახსირების კილომ უფრო იმატა. ახლაც მინდოდა მომეთმინა, ყურადღება არ მიმექცია, რადგანაც ვხედავ კარგად, რა ცოტანი ვართ მოქმედნი ქართველნი საზოგადო ასპარეზზედ და რაოდენი გარეშე მოყვარე გვადევნებს თვალსა: მაგრამ ბოლოს გულმან ვეღარ მოითმინა, ხელმან უნებლიედ იხმარა კალამი და სამაგიერო გადაუხადა ღირსეულს რედაქციას მწარე ჭეშმარიტებათა გამოქვეყნებით:

იაკობ სიმონიძე

P. S: ზმნა „გაღიარო“ ძველი სიტყვაა, რომელიც ძალიან იშვიათად იხმარება საუბარსა და მწერლობაში. ჩემს წიგნებსა და ნაწერებში, ვგონებ, იგი არც ერთხელ არ არის ნახმარი. ამ ზმნის მაგივრად ვხმარობთ: ვსთქვი, გავტყდი, განვაცხადე, მოვახსენე და სხვანი. ჩვენს იგავ-არაკში „ბულბული და გუგული“ ეს სიტყვა იმიტომ ვათქმევინეთ ვირსა, რომ იგი დახავსებული კლერიკალია და ამგვარს სულელებს ძველი ენა ძლიერ მოსწონთ. რედაქცია „კვალი“-სა, რომელმაც ამდენი აყალ-მაყალი ასტეხა ამ ძველის ზმნის ფორმის გამო, თითონ ხელს უწყობს, უთუოდ მეტად გონიერის ტვინის მეოხებით, დაიმარხოს «აღვიაროც» და «გაღიაროც», თუმცა ამავე დროს ჩემულობს შეუდარებელს მამულიშვილობასა. ეს გარემოება დღესავით ცხადად გვასწავებს, რომ აქ სრულიად სხვა ქვალი ატოკებს და „გაღიარო“ ტყუილი მიზეზია უმარილო დოსავით.

დიაღ, ენის დამახინჯება ჩემგან, თათრულ-სპარსულ-სომხური კილო ხალასი ჭორია, განზრახ მოგონილი, და ამ ჭორს ვერას დროს ვერ გაამართლებს რედაქცია ვერც „დედაენიდგან“ და ვერც სხვა წიგნებიდგან ამოღებული ადგილებით. მაგრამ როცა ჩვენ პასუხად წარვუდგენთ საზოგადოებას ქართულის მეტყველების თაიგულს, შეკონილს „კვალის“ და «ჯეჯილის» სარედაქციო ენის ყვავილებით, მაშინ, ყოველი მკითხველი აშკარად დაინახავს, რომ აქაც რედაქცია ქართულს ანდაზას მისდევს: შენი მე გითხარო.

მერმე რა კარგი, შესაბამი დრო შეურჩია «კვალმა» ჯვაროსანი ომის ასატეხად ჩვენის სახელმძღვანელოების წინააღმდეგ? ეს ის დროა, როდესაც ბედი „აღვიაროსიც“ და „გაღიაროსიც“ სწორედ წვრილს ძაფზედ ჰკიდია სკოლებში. აი ამისთანა საქციელსა ჰქვიან „უგუნურის ტვინის მღერა“.

უკანასკნელად, მკითხველს ვთხოვთ, ამასთან სახეში იქონიოს, რომ თითქმის ოც-და-ათის წლის მოღვაწეობის განმავლობაში არც ერთხელ არ გამილაშქრია პირველად ქართულს მწერალზედ და არც ერთხელ არ მომიწადინებია სხვისი გათახსირებით და დამდაბლებით მაღლა ამეყვანა ჩემი სახელი. პოლემიკა ჩემთან ყოველთვის სხვას დაუწყია, სხვას გაუწვევივარ საბრძოლად, როგორც ეხლა „კვალმა“ ჰქნა ესა, და ჩემი დანაშაულება იმაშია, რომ სამში ერთხელ სიჩუმე ვერ მომითმენია და ვცდილვარ, ჯეროვანი პასუხით გამესტუმრა გალაღებული უვიცობა და სიბრიყვე.

ი. სიმონიძე

სურამი

20 აგვისტო, 1894 წელსა

ე'სწრო. ეს ამოდენა ხალხი გაემართა პარკისაკენ დროშებით. დროშებზედ მთელი ფრაზები ეწერა. ერთს დროშაზედ ეწერა: „ვინ ართმევს ღარიბ ხალხს უფლებასა? ლორდები!" მეორეზედ: „ლორდთა პალატა უსარგებლოა". ირლანდიელთა დროშაზედ ეწერა: „ჩვენ გვსურს დავიბრუნოთ ჩვენი საკუთრება" და სხვ. ხალხი პარკისაკენ ნაშუადღევის სამ საათზედ გაემართა. ლიბერალთა კლუბს რომ მიუახლოვდა ხალხი, ოვაცია გაუმართეს აივანზედ მდგომ კლუბის წევრთ. კონსერვატორთა კლუბთან ხალხმა სტვენა ასტეხა.

გაიდ-პარკში 12 ტრიბუნა იყო გამართული ორატორებისთვის. ყველა ორატორი ამტკიცებდა, ლორდთა პალატა უნდა გაუქმდე'ს, როგორც უსარგებლო, ბოროტი და მავნე დაწესებულებაო. მიტინგის დროს ხალხში არიგებდნენ ლორდთა პალატის წინააღმდეგ დაწერილ წიგნაკებს. ყველაფერი მშვიდობიანად იყო, ხოლო როცა ერთმა სოციალისტმა ლაპარაკი დაიწყო ინგლისის აწინდელ წესწყობილების წინააღმდეგ, ზოგიერთებმა ჩოჩქოლი ასტეხეს. ხალხი მალე დამშვიდდა და მიტინგმა მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „მთავრობამ ყოველგვარი ღონისძიება უნდა იხმაროს ლორდთა პალატის გაუქმებისთვის და ყოველმა ამომრჩეველმა თითო კენჭი უნდა მისცე'ს იმ წევრს, რომელიც პირობას დასდებს, ლორდთა პალატის წინააღმდეგ ვიმოქმედებო.

—

**იტალია**. სიცილიიდგან იუწყებიან, რომ მრავალ ადგილებში ისეთი დიდი უთანხმოებაა მიწის პატრონთა და გლეხთა შორის, რომ ეშინიანთ კიდევ უწესოება რამ არ მოხდესო. გენერალმა მორმა ბრძანება გასცა, დაუბრუნეთ მკვიდრთ ის იარაღი, რომელიც ხალხს წაართვეს შიშიანობის წესის დროს. ხოლო ამ ჟამად თვით მორმა გააუქმა ეს განკარგულება და პალერმოს პროვინციაში წართმეულ იარაღს აღარავის უბრუნებენ. ასეთივე განკარგულება გასცა პალერმოს პროვინციის პრეფექტმაც. ოფიციალური გაზეთი «ტრიბუნა» მეტად უკმაყოფილოა გენერალ მორრის მოქმედებით სიცილიაში. ეს გაზეთი ამბობს, გენერალმა არავითარი ღონისძიება არ იხმარა მიწის პატრონთა და გლეხებ შორის უთანხმოების მოსასპობადაო.

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

პანთეონი ქართულის თეატრისა. წიგნი პირველი.

ბ-ნ ვ. აბაშიძეს ერთი კარგი აზრი მოსვლია. განუზრახავს ქართულს ენაზედ დაწერილი პიესები ცალკ-ცალკე პაწია წიგნაკებად გამოსცეს, თვეში თითო წიგნი, რომელშიაც სამ-სამი პიესა იქმნება მოქცეული. ეს აზრი მით უფრო სასარგებლოდ მიგვაჩნია, რომ ჩვენს დაბა-სოფლად ხშირად განზრახვა აქვთ წარმოდგენები გამართონ, მაგრამ დაბეჭდილ პიესების უქონლობისა გამო ვერ მოუხერხებიათ. ეს პაწია წიგნაკები-კი მისწრება იქმნება ჩვენის დაბა-სოფლისათვის. ჩვენ უკვე მოგვივიდა პირველი წიგნი, რომელსაც ეწოდება „პანთეონი ქართულის თეატრისა". ამ წიგნში მოქცეულია ჯერ-ჯერობით სამი თითო მოქმედებიანი ვოდევილი: „იქვიანი", „ბნელს ოთახში" და „ახირებულია". წიგნს დართული აქვს დასაწყისი კატალოგისა სათამაშოდ ნება დართულ პიესებისა, შეიცავს 104 გვერდს და ღირს ექვსი შაური.

სასურველი იქნებოდა, რომ გამომცემელს საკმაო ყურადღება მიექცია ნათარგმნ პიესების ენისათვის და, რამდენადაც-კი შესაძლებელია, ეზრუნა მისის წმინდა ქართულობისათვის. ჩვენის პიესების უმეტესობა ისეთის ენით არის დაწერილი და სცენაზედაც-კი ისეთის ენით არდგენენ, რომ ყოვლად საჭიროა მისი გასწორება და გაშალაშინება, მეტადრე იმ შემთხვევაში, როდესაც განზრახულია დასტამბვა ამ პიესებისა. ამას გარდა ურიგოა არ იქმნებოდა, რომ ფასიც ცოტა ნაკლები ყოფილიყო.

პანთეონის მეორე წიგნიც ამ ახლო-ხანებში დაიბეჭდება ა შიგ მოთავსებული იქმნება სამი ვოდევილივე: „დატრიალდა ჯარა" „აყალმაყალი ცოლ-ქმარს შუა" და „ცელქები".

—

Труды перваго съѣзда кавказскихъ врачей. Холерная эпидемія 1892 года на Кавказѣ. Томъ III. ეს მესამე და უკანასკნელი ნაწილია იმ შრომისა, რომელიც გასწია პირველმა კრებამ კავკასიის ექიმებისამ 1892 წელს, როდესაც კავკასიაში ხოლერა იყო გავრცელებული. სამსავე წიგნში დაწვრილებით არის მოთხრობილი, ჩვენის ქვეყნის რომელს ნაწილში რამდენად იყო ხოლერა გავრცელებული და რა საშუალებანი იხმარეს იმის წინააღმდეგ. ეს წიგნები დამზადებულია სარედაქციო კომისიის მიერ, რომლის წევრებადაც კავკასიის ექიმთა კრების მიერ ამორჩეულნი იყვნენ მ. გოლბეკი, მ. ლუნკევიჩი, ი. პანტიუხოვი, ნ. სახაროვი და ტ. რუდენკო. წიგნი დიდს ხელ-მძღვანელობასა და დახმარებას გაუწევს ახალგაზდა ექიმებს, თუ ვინიცობაა ხოლერა კვლავ გავრცელდა. სამწუხაროდ, წიგნში მოხსენებული არ არის ისყიდება იგი სადმე თუ არა და, თუ ისყიდება, რა ფასად.

ა.

## უცხოეთის წვრილი ამბავი

—

ჭკვინიო'.ში პოეტის რუმანილის ძეგლის კურთხევის დროს დეპუტატმა გლოვის გიუგომ ერთი ლექსი წაიკითხა. ლექსი ხალხს მეტად მოეწონა. ამ დროს ლექსის ავტორს მიუხლოვდა ქალაქის მოურავი და რაღაც უთხრა. დეპუტატმა უარის ნიშნად თავი გააქნია. ხალხი რომ დაიშალა, ამ დეპუტატთან მივიდა ორი ჟანდარმი, წაიყვანეს პოლიციაში, ჯიბიდგან ამოაცალეს დაწერილი ლექსი და შემდეგ განათავისუფლეს. ხალხს მეტად უკვირდა ეს ამბავი. აღმოჩნდა, რომ გაზეთების რეპორტერებს ეთხოვნათ ქალაქის მოურავისთვის, როგორმე გვიშოვნე ის ლექსი, რომელიც დეპუტატმა გლოვის გიუგომ წაიკითხაო, მოურავმა დეპუტატს ლექსი სთხოვა, მაგრამ მან არ მისცა. მაშინ მოურავმა ჟანდარმებს უბძანა, დააპატიმრეთ ეგ კაცი, ლექსი წაართვით და მე მომიტანეთო. მოურავმა ლექსი რეპორტერებს გადასცა და იმათაც მეორე დღეს გაზეთებში დაჰბეჭდეს.

## გასართობი

—

მარიამობის თვის დამდეგი იყო. სიმინდის ყანები, რომელიც სოფელზედ მოშორებულია, თავსა ჰყრილობდა და ტაროვდებოდა; სიმაღლით ცხენზედ მჯდომის კაცის ოდენა ერთი ტანად მორჩილი (ჯუჯა) გლეხი მოდიოდა ყანებიდგან სოფელში, გზაზედ შეხვდა მეორე გლეხი პეტრია და ჰკითხა:

— სად იყავი, ოსიკა?

— ჭალაზედ, ყანები დავათვალიერე...

— რავარია „ნეტეი" ჩვენი ყანები, თუ გეიზარდათ.

— ოჰ, კაი დაგემართოს პეტრია, კაი ყანები იყვეს, ძალიან გაზდილა, ჩემ სიმაღლეა.

— რას ამბობ, ოსიკა? შენ სიმაღლე მაისში რომ გავმარგლე, მაშინ იყო და ახლაც თუ შენ სიმაღლეა, ხელახლავე სამარგელი ყოფილა და ხომ დავღუპულვართ კაკალი კაცი! მიუგო ენა მახვილად პეტრიამ.

**

ერთი ქაჩალი (სახაზინო) აზნაური წაეკიდა მეორე საბატონო აზნაურს და სხვათა შორის დააყვედრა:

— რა მეცოდინება მე შენისთანა საბატონო აზნაურისა, მე შენისთანა აზნაური „ხელზედ მოსამსახურედ" უნდა მახლდესო!

— კი, ბატონო, სწორეთ რიგია, მაგრამ სავარცხელი ხის უნდა მოგართვა, თუ ძვლისაო, მიუგო აზნაურმა.

## წერილი რედაქციის მიმართ

—

კაი კაგლახით და დიდის გაჭირებით დაფუძნდა ჩემდა რწმუნებული ნუკრიანის სამრევლო სასწავლებელიც და დიდ გაჭივრებაშიაც ჩავარდებოდა, დაფუძნებისათანავე თანამგრძნობელნი რომ არ აღმოსჩენოდნენ. პირველადვე ხელი შემიწყო სიღნაღის სამოქალაქო სკოლის ინსპექტორმა ბაღაშვილმა, რომელმაც გადმომცა ექვ'ი ძველ-ახალი უმაწვილებისათვის სასხდომი სტოლი და ერთი კლასის დაფა; თითონ უმაწვილების შემძლებელმა დედ-მამებმაც აღმითქვეს ყოველ წლივ ფულით დახმარება და კიდეც სწირავდნენ შეძლებისადაგვარად; აგრეთვე მუქთად მივიღეთ ეპარქიის სასწავლებელ საბჭოსაგან რამდენიმე ცალი რუსული წიგნი და სასწავლო ნივთები, მაგრამ მაინც სასწავლებელს ძლიერ ესაჭიროება ნივთიერი დახმარება. თანაგრძნობისავე სურვილით თავი მოიყარეს გ. ნინო ს. ანდრონიკაშვილისამ, გნ. ბ. ს. ანდრონიკაშვილისამ, გნ. რუსიშვილისამ, ბ-ნი ი. დ. ქიტიაშვილმა, კ. ს. ბეგიაშვილმა, გ. ტეხვაძემ, შოშიაშვილმა, ჩუჩენი და სხ. და გამართეს ქ. სიღნაღში წარმოდგენა, რომლის შემოსავალიც გარდა მცირეოდენის ხარჯისა, გარდასცეს ჩემდა რწმუნებულის სამრევლო სასწავლებლის მზრუნველს თ. მ. ს. ანდრონიკაშვილს, ნაღდათ 80 მან., 32 კაპ., რის გამოც დიდს მადლობას უძღვნი ზემოხსენებულთ. მადლობას უძღვნი აგრეთვე პორუჩიკს თ. ა. ს. ანდრონიკაშვილს, რომელმაც მთელის წლით დაუგზავნა ამავე სასწავლებელს საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი". აგრეთვე უმორჩილესად ვსთხოვ „წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას" და ყოველსავე ქართულ მწერლობაში მონაწილეობის მიმღებთ, თუ შესაძლებლად დაინახავენ, არ დაიშურონ თითო ცალი თავიანთის გამოცემებისა სასწავლებელთან წიგნთ-საცავის დასაარსებლად.

მღ. ვასილ ნათიძე

## შემოწირულება

—

სოფ. ქარელში გამართულ წარმოდგენის ხაღდი შემოსავალი ყოფილა 189 მან. 50 კაპ. ამ ფულიდგან დახარჯულა: საზანდრისათვის 25 მან., განათლება თეატრის დარბაზისა და განცხადებანი—19 მან. 50 კაპ., სცენის მოწყობა და მომართვა—12 მან. 40 კაპ., ზოგიერთის არტისტების გზის ხარჯი—30., ამ საქმის მოსაგვარებლად წასვლა-მოსვლის ხარჯი—14 მან. 50 კაპ. წვრილმანი ხარჯი—4 მან. 65 კაპ. სულ დახარჯულა 106 მან. ღ 5 კაპ. ნაღდი ფული დარჩენილა 83 მან. 85 კაპ., რომელიც ამ წარმოდგენის გამართვის მეთაურმა ა. შიხინოვმა გადმოგვცა მოსკოვის ქართველ ღარიბ სტუდენტე'ის სასარგებლოდ გასაგზავნად. ეს ფული ამ დღეებში გაიგზავნება დანიშნულებისამებრ.

## დეპეშა

24 აგვისტო

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** გუშინ მოხდა თათბირი სამთო განყოფილების დაარსების შესახებ რუსეთის გამოფენაზედ 1897 წ. გადაწყვეტილია იშუამდგომლონ, რათა გაგრძელებულ იქმნას დრო, ექსპონენტებისაგან განცხადებათა შემოტანისთვის, 1895 წლის 1 იანვრამდე.

**ვენა.** ფინანსთა მინისტრი ვიტტე მეუღლითურთ აბბაციაში წავიდა.

**ჟენევა.** დღეს დაიწყო საერთაშორისო პრიენტალისტთა კრება, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ სხვა-და-სხვა მხრის 14 მთავრობათა და 97 უნივერსიტეტის წარმომადგენელნი.

პეტერბურგის ბირჟა, 23 აგვისტო.

| | მყიდვე-ლისა. | გამყიდ-ველისა. | გაყიდუ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,45 | 7,47 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 148½ | 149½ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | 239½ | — ,, | — ,, |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 226¼ |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — ,, | — ,, | 191¾ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . . | — ,, | — ,, | 101½ |
| 5% . . . . . . | — ,, | — ,, | 100 |
| ქუთაისის ბანკის 6%. | — ,, | — ,, | 101½ |
| 5%. . . . . . | — ,, | — ,, | 100½ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |


# განცხადებანი

## ცხოვრება
დიდისა მოწამისა პანტელეიმონისა

თარგმნილი

მ. შარაძის მიერ, გამოცემა ი. ჩიჩუასი

ფასი ერთი შაური

ისყიდება ტფილისის ქუთაისისა და ოზურგეთის წიგნის მაღაზიებში და შარაძისა და ამხან. სტამბაში.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდე, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ა. ფ. პროტასევიჩი,—11½—12½ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. 12½—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. ბ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ქ. ი. ფრანცუზსი, 7—7½ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერიფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1467)

„წერა-კითხვის საზოგადოების"
წიგნის მაღაზიაში
ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი . . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ხატაური ან. თუმანიშვილისა. . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |


Дозволено цезнурою Тифлисъ, 24-го Августа 1894 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.